**Ladies Prayer International – ის ბიულეტენი**




**ორმოცდაათიანელთა გაერთიანებული ეკლესია**

**ნოემბერი 2016 წელი**

**ეწვიეთ Ladies Prayer International - ს Facebook-ზე და "მოიწონეთ" ჩვენი გვერდი!**

**დამცავი ლოცვის ძალა**

კონნი ბერნარდის მიერ



"არ დაგავიწყდეს სახლში დარეკვა." როგორც მშობლებს, რამდენჯერ გვაქვს ნათქვამი ეს სიტყვები? როდესაც ჩვენი ბავშვები პატარები არიან, ძალიან ხშირად ჩვენ ვიცით უმეტესობა მათგანი სად არის. მე ასევე ვიცოდი რდის იქცეოდნენ ჩემი ბავშვები ცუდად. როდესაც სახლში ჩამოვარდებოდა უჩვეულო სიჩუმე, მე უკვე ვიცოდი, რომ ჯობდა დროზე მეპოვნა ისინი. არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა იმაზე, თუ რაში ეხვეოდნენ ისინი.

როგორც მშობლები, ჩვენ აღვავლენდით დამცავ ლოცვას ჩვენი შვილებისათვის. *იესო, გააძლიერე მათი სხეულები, გაიზარდონ ჯანმრთელები. ნებას ნუ მისცემ ნურც ერთ სნეულებას შეეხოს მათ და იყვნენ უსაფრთხოდ* დრო მიფრინავდა და ჩვენი ბავშვები თავისით გამოდიოდნენ. მე ყოველთვის აღვავლენდი დამცავ ლოცვას, მაშინაც, როდესაც არ გვყავდა ბავშვები, მაგრამ მე ვისწავლე დამცავი ლოცვის წარმოთქმის სრულიად ახალი ხერხი. ჩვენ ყველანი აღვავლენთ დამცავ ლოცვებს, მაგრამ ისინი იცვლება ისევე როგორც ჩვენი ცხოვრება.. როგორც ეს იაკობის 5:16-შია ნახსენები:...ბევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ლოცვას. ჩემს ყოველდღიურ ლოცვებში მე შევთხოვ უფალს რომ ჩამთვალოს მართალ ადამიანად

ჩვენი ყოველდღიური ლოცვა ყოველთვის უნდა შედგებოდეს მადლიერებისა და მონანიებისგან. მონანიებაში, ჩვენ ვაღიარება ჩვენს ადამიანურობას და არაადეკვატურობას, თავს ვხრით მის წინაშე. ის ყოველთვის პატივს მიაგებს გატეხილ და მომნანიებელ სულს. (ფსალმუნი 51:17). როდესაც ასე წარვდგებით მის წინაშე და ის ჩვენ გვცნობს - როდესაც ჩვენ გაგვაჩნია ეს ახლო ურთიერთობა მასთან - მაშინ ჩვენ შეგვიძლია თამამად წარვდგეთ მისი მადლიანი ტახტის წინაშე (ებრაელების 4:16) ჩვენი თხოვნით.

წლების წინ, როდესაც ძმა ბერნარდი მიემგზავრებოდა აღმოსავლეთ ევროპაში მანამ, სანამ ჩამოიშლებოდა კედელი, იყო დრო, როდესაც არაფერი არ ვიცოდი მის შესახებ, სანამ ის არ დაბრუნდებოდა უკან შეერთებულ შტატებში. მე ვისწავლე ცხოვრება უფლის რწმენით და სულ წარმოვთქვამდი დამცველ ლოცვებს. მე დავიწყე ისეთი გამონათქვამის დაფასება, როგორიც არის: „ახალი ამბების არქონა უკვე კარგი ახალი ამბავია“. ჩემი თხოვნები, როგორც წესი, შემოიფარგლებოდა დამცველი ლოცვებით ჩემი ოჯახისთვის. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ გაგვაჩნია განსაკუთრებული და სასწრაფო საჭიროებები, მაგრამ ჩვენი დამცველი ლოცვები არის ძალზედ მნიშვნელოვანი რამ.

ქალბატონებო, ნება მიბოძეთ მოგიწოდოთ. თქვენ შესაძლებელია აღზარდეთ თქვენი შვილები უფლის შიშით და დარიგებით (ეფესელთა 6:4 - თქვენ კი, მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით) და ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ ღმერთისგან. არის შემთხვევები, როდესაც თქვენი დამცველი ლოცვები არის ერთადერთი რამ რა იცავს მათ. თქვენ შეიძლება იკითხოთ," როგორ უნდა ვილოცო ჩემი ქალიშვილისთვის, რომელმაც მიგვატოვა ჩვენ და უფალი?". ეს ძალიან რთულია მაგრამ მაინც - ნურასდროს ნუ დაკარგავთ იმედს. მისი სიტყვა არ დაბრუნდება ცარიელად (ისაია 55:11).

და ბოლოს, ნება მიბოძეთ დაგიტოვოთ ლოცვა რათა წარმოთქვათ ის თქვენი შემთხვევებისათვის:

*უფალო, გთხოვ დააყენე შენი დამცავი "ღობე" ჩემი ქალიშვილის გარშემო. გთხოვ, გააგზავნე შენი ანგელოზები რათა მიხედონ მას. იმ დროს, როდესაც ის ღამით დადებს თავს, გთხოვ გაახსენე შენი დიდება და მადლი. უფალო, დაე ყოველთვის ყოფილიყოს შენი მადლი მის ცხოვრებაში. აღავსე ის შენი სიყვარულით. ნება მიეცი მოგწვდეს მაშინ, როდესაც ის თავს იგრძნობს დაუცველად საფრთხეში. ანახე მას შენი თავი. უფალო, დაიცავი მისი გული ტკივილისგან. უფალო, დაიცავი მისი გონება მტრების ზემოქმედებისგან. დაიცავი ის ზიანისგან. უფალო, შეეხე მის სხეულს რათა ყოფილიყოს ის ძლიერი. ის მოგეძღვნა შენ. მე ვლოცულობ იმისათვის, რომ შენ აღავსო მისი ცხოვრება შენი სიყვარულით. აგრძნობინე შენი სული ღამე, როდესაც ის არის მარტო თავის ფიქრებთან ერთად. შედი მის ფიქრებში და ანახე რომ შენ ჯერ კიდევ მასთან ერთად ხარ, რომ შენ გიყვარს ის, და რომ შენ თვალყურს ადევნებ მას. შენ, იესო, იმის გამო რომ გიყვარვარ და რომ შენ ჩემს ფიქრებში ხარ. შენ ზრუნავ დიდზე და მცირედზეც ჩემს ცხოვრებაში და მის ცხოვრებაში. მე ვიცი რომ შენ პატივს მიაგებ ყოველ ჩემს ლოცვას. შენ მიპასუხებ შენი დიადი ნებით. შენ ხარ ჩვენი უფალი მეფე და მე ვიცი, რომ შენ ხარ მზრუნველი. მე ვიცი, რომ შენ უპასუხებ ჩემს ლოცვას და მე*

*შენი მადლიერი ვარ ამისათვის.*

მიუხედავად იმისა ჩვენი შვილები არიან, ორი, თორმეტი, ოცი, ან ორმოცდაათი წლისანი, ჩვენ ჯერ კიდევ ვღელავთ მათ გამო. უდიდესი შვებაა ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ მათ დასაცავად და იმისი ცოდნა რომ ის, უფალი, უპასუხებს ჩვენს ლოცვებს. ის სანდოა.

შენიშვნა: და ბერნარდი არის ორმოცდაათიანელთა საერთაშორისო გაერთიანებული ეკლესიის გენერალური სუპერინტენდანტი (გენერალური დირექტორი) მეუფე დეივიდ ბერნარდის მეუღლე. ისინი მგზავრობენ მთელს მსოფლიოში და საუბრობენ უამრავ კრებაზე და კონფერენციაზე. მათ ყავთ სამი დაოჯახებული შვილი და შვილიშვილები.

---

**ჩვენი ლოცვები არასდროს არ კვდება**

მირიამ სპონსლერის მიერ



და რაჟამს მიიღო მან წიგნი იგი, ოთხნი იგი ცხოველნი და ოც და ოთხნი მღვდელნი დავარდეს წინაშე კრავისა მის. და აქუნდა თითოეულსა ათძალი და ლანკნანი ოქროჲსანი, სავსენი საკუმეველთა, რომელ არიან ლოცვანი წმიდათანი." (გამოცხადება 5:8 ამჯვ).

ჩვენი ლოცვები არასდროს არ კვდება.

ჩვენი ღმერთი არის დიდი და ერთგული, თუნდაც მაშინ, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ესმის თუ არა მას ჩვენი როდესაც ჩვენ ვლოცულობთ. ჩვენ შეიძლება დავსვათ კითხვა: მართლა იზრუნებს ის ამაზე? ის გული არის მეტისმეტად ველური, რთული, დაბნეული, დაკარგული! ამაო ხომ არ იქნება ჩემი ლოცვები?

ნურასდროს ნუ გეშინიათ. ღმერთმა იცის ჩვენი ფიქრები, ჩვენი სურვილები, და ჩვენი გულის ტკივილი. როდესაც ჩვენ ვლოცულობთ მისი ნების მიხედვით მას ყოველთვის ესმის ჩვენი და ის ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე. ის მოუთმენლად ელის ჩვენს ლოცვებს, უნდა ჩვენი

თხოვნების მოსმენა და მზად არის უპასუხოს მათ უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ გვწამს ან გვესმის. მაგრამ ღმერთი არის ერთგული.

ჩემი ბავშვობის რამდენიმე მოგონება არის დაკავშირებული დედაჩემთან მის სამლოცველოში, როდესაც ის შესთხოვდა უფალს მისი შვილების გადარჩენას. შვიდიდან უმცროსს, მე მქონდა პრივილეგია გავზრდილიყავი ორმოცდაათიანელთა ეკლესიაში, მაგრამ ჩემს უფროს დედმამიშვილებს არა. ის დაუღალავად ლოცულობდა მათი გადარჩენისათვის, მაშინაც, როდესაც იმედის სხივიც კი არ ჩანდა. მე მწამს, რომ მისი ლოცვები ჯერ კიდევ ცოცხლობენ და მოქმედებენ გულებზე.

იმის გამო რომ ლოცვები არასდროს არ კვდება, მამაჩემი მოინათლა 88 წლის ასაკში იმის შემდეგ, რაც დედაჩემი ლოცულობდა ამისათვის დახლოებით ორმოცდაათი წელიწადი. ერთი ძმა დაუბრუნდა უფალს მრავალი წლის შემდეგ რაც მან იცხოვრა ურწმუნო/უღმერთო ცხოვრების წესით და ახლა ის არის აღორძინების ეკლესიის წინამძღვარი. სხვა ძმა დაუბრუნდა უფალს ათწლეულების შემდეგ რაც ის გაურბოდა მას. ის დაუბრუნდა უფალს მაშინ, როდესაც დედა უკვე გარდაცვლილი იყო. უფალი მარადიული და ის არ არის შეზღუდული დროის ჩვენეული აღქმით.

ლუკას 18-ში იგავი უსამართლო მოსამართლეზე მოგვითხრობს, რომ ის დააკმაყოფილებს ჯიუტი ქვრივი ქალის თხოვნას ხანგრძლივი მოთხოვნის შემდეგ. თუ ჩვენ ვლოცულობთ უფლის ნებით, მე მწამს რომ ჩვენი დაჟინებული ლოცვა, რომელიც აჩვენებს ჩვენს რწმენას უფალში, იქნება გაგონილი და პასუხ გაცემული. ჩვენი რწმენა შეიძლება იყოს გამოცდილი, მაგრამ ის გვიპასუხებს შესაბამის დროს.

ხელს ნუ ჩაიქნევთ იმ თავნება ბავშვზე. გამხნევდით. გააგრძელეთ ლოცვა და რწმენა. ჩვენ ვერანაირად ვერ შევძლებთ უფლის ნების წარმოდგენას და მის დროის აღქმას არის იდეალური. ჩვენი ლოცვები ძალიან ძვირფასია მისთვის და შენახულია ოქროს თასში. ისინი არასდროს არ კვდება.

შენიშვნა: მირიამი არის მაიკზე დაქორწინებული, მისი ცხოვრების სიყვარულზე 44 წლის განმავლობაში. ის მსახურობდა როგორც ევანგელისტის მეუღლე, პასტორის მეუღლე და ახლა მსახურობს როგორც მისიონერის მეუღლე არგენტინაში. ის არის ორი საამაყო ვაჟიშვილის და რძლის დედა და ორი დიდებული შვილიშვილის ბებო!

---

**მლოცველი მეომარი**

ლინდა რიდინგის მიერ



მე მრავლად ხშირად ტიტული „მლოცველი მეომარი“ -ს წარმოთქმა დედების მიმართებაში, რომლებიც ლოცულობენ თავიანთი შვილებისთვის. მლოცველი მეომარი არის ის ვინც წარმოთქვამს თხოვნითლოცვებს სხვებისთვის.

მე ვარ მარტოხელა (არასდროს არ ვყოფილვარ დაქორწინებული) და არ მყავს შვილები; თუმცა მე ხშირად ვლოცულობ ბავშვებისთვის. მე მსიამოვნებს იმის ნახვა თუ როგორ რეაგირებენ ისინი მისი სულის ჯადოსნურ შეხებაზე. იესო ლოცულობდა ბავშვებისთვის.

*" მაშინ მიიყვანეს მასთან ბავშვები, რომ ხელი დაედო და ელოცა მათთვის, მოწაფეები კი საყვედურობდნენ მათ. იესომ უთხრა მათ: „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან ამათნაირებისაა ცათა სასუფეველი.“ და დაადო მათ ხელი და წავიდა იქიდან. "*(მათეს 19:13-15).

ჩემი ძმისშვილები, რომლებიც უკვე გაიზარდნენ, მეუბნებიან, რომ როდესაც წარსულში ისინი ისმენდნენ ჩემგან, "მე ვილოცებ თქვენთვის", იცოდნენ, რომ მე ვაპირებდი მათთვის ბრძოლას. უფალმა განკურნა ისინი, დაიცვა და მისცა მიმართულება ცხოვრებაში. მათ იციან დამცველი ლოცვის ძალა.

წლების წინ ჩვენს ეკლესიაში მოვიდა ბიჭი, რომელიც ცხოვრობდა

მიმღებ ოჯახში (ოჯახური თავშესაფარი). ის ელოდებოდა თავის მიმღებ მშობლებს რომ წაეყვანათის საკვირაო სკოლის შემდეგ, და მე ვიჯექი ეკლესიის კიბეებზე მასთან ერთად სანამ ისინი ა მოვიდოდნენ. მე ვუსმენდი მის მონაყოლს მისი სირთულეებით აღსავსე ცხოვრების შესახებ და ვლოცულობდი მისთვის სანამ იმ დღეს ის წავიდოდა ეკლესიიდან. ჩვენი ლოცვა იყო მარტივი, მაგრამ ის დარჩა მასთან ერთადიმის შემდეგაც, რაც უს დაუბრუნდა თავის მშობელდედას.

რამდენიმე წლის შემდეგ მე მივიღე სატელეფონო ზარი, როდესაც ის უკვე თინეიჯერი იყო. მას ჭირდებოდა მეგობარი და მეძებდა ჩემი გვარითდა რეკავდა ყოველნომერზე, სანამ არმოაღწია ჩემამდე. ის იყო გასაჭირში, და მე მან მითხრა, რომ მან იცოდა რომ მე ვილოცებდი მისთვის ამ სიტუაციაში. მე ვლოცულობდი მისთვის როგორც მეომარი, თითქოს მე ვიდექი უფსკრულთან მის გამო.

გახვიეთ თქვენი ძმისშვილები, დისშვილები ან თქვენი მეგობრების შვილები ლოცვაში. და დექითმათთვის ისევე როგორც ისინი დაბიჯებენ დღევანდელ ცხოვრებაში. მე მოგიწოდებთ თქვენ გახდეთ მლოცველი მეომრები.

შენიშვნა: ლინდა რიდინგი ტკბებოდა მისი მსახურებით მუსიკაში წლების განმავლობაში, როდესაც მისი მშობლები მსახურობდნენ ინდიანას შტატის ქალაქ გრინფილდში. 2010 წლიდან ის არის ფლორიდაში, 2008 წელს ჩატარებული არახოჯკინის IV სტადიის ლიმფომის მკურნალობის შემდეგ. ის აღნიშნავს ცხოვრების ყოველდღეს როგორც უფლის საჩუქარს.

---

**საფოსტო ყუთიდან**

ეს ბიულეტენი არის უდიდესი კურთხევა. მე მივიღე ჩემი ელფოსტა და ერგევე წავიკითხე. მე განსაკუთრებით მომეწონა და ბერნარდის სტატია დამცველ ლოცვებზე. მე მყავს სამი ქალიშვილი, რომლებმაც

მიატოვეს ეკლესია იმის შემდეგ რაც გაიზარდნენ. მე ვლოცულობ მათთვის და მათი ოჯახებისთვის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. - ეტოისენ.

—

დიდი მადლობა ამ ბიულეტენისთვის. მე ეს დღეს გულწრფელად მჭირდებოდა, ზუსტად ამ მომენტში. ვლოცულობ ჩემი ბიჭებისთვის. - ნადინი.

—

ჩემო საყვარლებო, მადლობას მოგახსენებთ გამამხნევებელი სწავლებებისთვის! სწავლება მონათხრობებით/მაგალითებით და იმაზე თუ როგორ შეინარჩუნო ლოცვის აღთქმა - არის შესანიშნავი რამ. მოკრძალებით, მე მექნებოდა ერთი თხოვნა: მე მსურს მივიღო ბიულეტენი სუახილიზე და ინგლისურ ენაზე. დიდი მადლობა - ონსერიო.

**დიდების ანგარიში**

მე ახლახან მივიღე ეს ამბავი/მონათხრობი ჩვენი Ladies' President - სგან ვენესუელაში, დეიზი გრეითროლისგან და გადავწყვიტე გამეზიარებინა თქვენთვის. ღმერთმა დაგლოცოთ, კეთი კროსლი.

*"ჩვენ ვითხოვეთ ლოცვა ჩვენი ერთერთი პასტორისთვის, და ლინა დე ბრაჩოსათვის. მას გააჩნდა ბევრი სიმსივნე ფარისებრი ჯირკვლის გარშემო და ასევე კანის კიბო მის ცხვირზე. მას ჩაუტარდა ოპერაცია და მოხდა უფლის სასწაული - ექიმი იყო გაოგნებული/გაოცებული ნაპოვნი სიმსივნეების რაოდენობით და თქვა, რომ მას დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეეძლება მეტყველება. ერთი კვირის შემდეგ, ის მივიდა გადამოწმებაზე, და ექიმი იყო სრულიად შოკირებული იმითრომ მას შეეძლო გარკვევით და ხმამაღლა საუბარი. ექიმს ასევე ქონდა საშუალება ეთქვა ლინასთვის, რომ კიბოს ნიშნები არიყო და რომ მას არ დაჭირდებოდა ქიმიოთერაპიის გავლა! დიდება უფალს! ჩვენ მადლობელები ვართ ორმოცდაათიანელთა გაერთიანებული ეკლესიის*

ქალბატონების ერთობლივი ლოცვისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ!"

---

Like us on Facebook